შეტყობინება მესამე

ხორბლისა და ქერის მიწა

ადგილები წერილიდან: რჯლ. 8:8ა; იოანე 11:25; 12:24-25; 1 კორ. 15:20; ეფეს. 1:20

I. ხორბალი რჯლ. 8:8ა-ში არის წინასახე განკაცებული, ჯვარცმული და დამარხული ქრისტესი – იოანე 12:24:

ა. თავის სრულ მსახურებაში თავისი განკაცების ეტაპზე ქრისტემ მოიყვანა უსასრულო ღმერთი სასრულ ადამიანში – 1:1, 14:

1. როგორც სასრული ადამიანი, ქრისტე ხორცში იყო შეზღუდული დროსა და სივრცეში – 7:6, 10:
   - ა). უფალი არის მარადიული, უსასრულო, უსაზღვრო ღმერთი, მაგრამ ის ცხოვრობდა აქ, დედამიწაზე, როგორც ადამიანი, შეზღუდული დროსთან მიმართებით – მუხ. 6.
   - ბ). მიუხედავად იმისა, რომ უფალი არის ყოვლისშემძლე ღმერთი, როგორც ადამიანი, რომელიც იდევნებოდა, ის იყო შეზღუდული თავის ქმედებასთან დაკავშირებით – მუხ. 10.
2. როგორც სასრული ადამიანი, ქრისტე ხორცში იყო შეზღუდული ცოდნაში – მათე 24:36; ლუკა 2:40, 52; შდრ. იოანე 7:15; მარკ. 6:1-3.
3. როგორც სასრულ ადამიანს, ქრისტეს ხორცში ჰქონდა ბუნებრივი, ადამიანური სიცოცხლე და მისი ცხოვრება ყოველთვის იყო დამოკიდებული არსებობა – იოანე 10:11, 15, 17; 6:57ა; მათე 14:19.

ბ. ქრისტეს ადამიანობა მისი განკაცების მეშვეობით გახდა ღრუბელი, რომელიც ფარავდა მის ღვთაებრიობას და ამის მეშვეობით ფარავდა მის დიდებას – იოანე 1:14; 12:23-24; ლუკა 12:50:

1. ვინაიდან უფალ იესოს ღვთაებრიობის დიდება დაფარული იყო მისი ადამიანობის გარსში, უფალი იესო იყო წნეხის ქვეშ და იყო შეზღუდული, მას უნდოდა, რომ ყოფილიყო მონათლული ნათლობით თავის სიკვდილში თავისი ღვთაებრივი დიდების გამონთავისუფლებისათვის – მუხ. 50.
2. უფალს სჭირდებოდა, რომ გაევლო ფიზიკური სიკვდილი, რათა მისი უსაზღვრო და უსასრულო ღვთაებრივი არსება მისი ღვთაებრივი სიცოცხლით გამონთავისუფლებულიყო მისი ხორციდან.
3. უფალი იესო ჩავარდა მიწაში და მოკვდა, და ამ სიკვდილმა გამოანთავისულფლა ის მისი ადამიანური გარსიდან – იოანე 12:24:
   - ა). ის ჩავარდა მიწაში და მოკვდა, რათა მისი ღვთაებრივი ელემენტი, მისი ღვთაებრივი სიცოცხლე გამონთავისუფლებულიყო მისი ადამიანობის გარსიდან.
   - ბ). უფალმა იესომ როგორც მიწაში ჩავარდნილმა ხორბლის მარცვალმა თავისი სიკვდილის მეშვეობით დაკარგა თავისი მშვინვიერი სიცოცხლე, რათა გამოენთავისუფლებინა თავისი ღვთაებრივი სიცოცხლე.

გ. იმ სიტუაციებში, რომლებიც გვზღუდავენ ჩვენ და გვპრესენ ჩვენ, ჩვენ შეგვიძლია განვიცადოთ ქრისტე როგორც ხორბლის მარცვალი – მუხ. 24:

1. ყოველთვის, როდესაც ჩვენ უფლის უზენაესი მმართველობით აღმოვჩნდებით ამა თუ იმ სიტუაციაში, რომელშიც ჩვენ ვართ შეზღუდულნი, რომელშიც ვართ წნეხის ქვეშ, ჩვენ შეგვძილია, განვიცადოთ უფალი როგორც ხორბალი –რომ. 8:28.

2. როდესაც ჩვენ ვეხებით უფალს ჩვენს შემზღუდველ და შემავიწროვებელ ვითარებებში, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ის არის უსასრულო ღმერთი, რომელიც გახდა სასრული ადამიანი, და რომ მასში არის ძალა, რომ ატაროს ნებისმიერი შეზღუდვა – ფილიპ. 4:13.
3. ქრისტე, ჩვენი სიცოცხლე, არის ჩვენ შიგნით როგორც ხორბლის მარცვალი, რათა ჩვენ ვიცხვროთ განკაცებულის სიცოცხლით, შეზღუდულის სიცოცხლით – კოლ. 1:27; 3:4.
4. თუ ჩვენ შევეხებით უფალს, ჩვენ განვიცდით მას როგორც ხორბლის მარცვალს და მასში ჩვენ კმაყოფილები ვიქნებით ჩვენი სიტუაციით – ფილიპ. 4:11-12.
5. როგორც ხორბალი, ქრისტე არის ჩვენი სიცოცხლე, რათა წარმოქმნას ჩვენში სურვილი, რომ ვიყოთ შეზღუდული, სურვილი, რომ მოვკვდეთ, სურვილი, რომ დავიმარხოთ, სურვილი, რომ ვიყოთ არაფერი; ეს არის ქრისტეს როგორც ხორბლის განცდა – იოანე 12:24-25.

II. ხორბალი აღნიშნავს განკაცებულ, ჯვარცმულ და დამარხულ ქრისტეს, ხოლო ქერი აღნიშნავს აღმდგარ ქრისტეს – რჯლ. 8:8ა:

ა. კეთილ მიწაზე ქერი მწიფდება ყველა სხვა მარცვლეულზე ადრე, ამიტომ ქერი არის პირველ ნაყოფი – 1 კორ. 15:20:
1. ვინაიდან ქერი მწიფდება ადრე, ის წარმოადგენს მკის პირველ ნაყოფებს – აღმდგარი და უსაზღვრო ქრისტეს წინასახეს – მუხ. 20.
2. ჩვენ ვხარობთ, როდესაც ვგებულობთ, რომ ქრისტე არის ქერი, აღმდგარი ქრისტე ჩვენში, და რომ მას შეუძლია გაუმკლავდეს ნებისმიერ სიტუაციას.
3. ქრისტე როგორც პირველნაყოფები აღდგომისა არის პირმშო მკვდრეთით, რათა იყოს თავი სხეულისა (კოლ. 1:18; ეფეს. 1:20-23); ვინაიდან ის, თავი სხეულისა, აღდგა, ჩვენ, სხეული, ასევე აღვდგებით.
4. როგორც პირველნაყოფები, ქრისტე გახდა სიცოცხლის პური, ამიტომ ქერის პურები აღნიშნავენ ქრისტეს აღდგომაში როგორც ჩვენს საკვებს – იოანე 6:48:
   ა). რიცხვი ხუთი აღნიშნავს პასუხისმგებლობას; აქედან გამომდინარეობს, რომ აღმდგარ ქრისტეს შეუძლია ატაროს პასუხისმგებლობა.
   ბ). მასთან ერთად, რაც ჩვენ ვიკვებებით ქრისტეთი როგორც ქერის პურებით, ჩვენ ვხდებით ქერის პურები, რათა ვკვებოთ სხვები ქრისტეთი, რომელიც ჩვენ განვიცადეთ.
5. ხუთი ქერის პურით უფალ იესოს შეეძლო გამოეკვება ხუთი ათასი ადამიანი, და ამასთან ერთად დარჩენილი ნაჭრებით აევსო თორმეტი გოდორი; ეს არის აღდგომა – მათე 14:14-21; იოანე 6:9, 13.

ბ. ქერის წინასახეში ნაჩვენები აღდგარი ქრისტე არის შეუზღუდავი – ფილიპ. 4:13:
1. ხორბალი მიუთითებს ქრისტეს განკაცებაზე, სიკვდილსა და დამარხვაზე, და ამის შემდეგ, ქერი მიუთითებს მის აღდგომაზე, აღმდგარ ქრისტეზე – იოანე 11:25; ეფეს. 1:20.
2. ერთი მხრივ, ჩვენ შეგვიძლია, განვიცადოთ შეზღუდული ქრისტე, რომელსაც აღნიშნავს ხორბალი; მეორე მხრივ, ჩვენ შეგვიძლია, განვიცადოთ უსაზღვრო ქრისტე, რომელსაც აღნიშნავს ქერი – იოანე 12:24; 6:9, 13:
   ა). თავის განკაცებაში იესო იყო განსაკუთრებით შეზღუდული, მაგრამ თავის აღდგომაში ის არის უსაზღვრო – ლუკა 12:49-50; 24:5-6, 26, 34, 46.
   ბ). ხორბალი არის სიკვდილის ველი, ხოლო ქერი – აღდგომის მთა.
3. იმისათვის, რომ განვიცადოთ ხორბალი, შეზღუდული ქრისტე, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ქერი, უსასრულო ქრისტე, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ქერი,

უსაზღვრო ქრისტე; ჩვენ მივყვებით შეზღუდულ იესოს აღმდგარი ქრისტეს ძალაში – ებრ. 13:12-13.

4. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ყველაფერი მასში, ვინც გვაძლევს ჩვენ ძალას, რადგან ის არის აღმდგარი და უსასრულო ქრისტე – ფილიპ. 4:13.
5. ყოველთვის, როდესაც ჩვენ განვიცდით ქრისტეს როგორც ხორბალს, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ იმაში, რომ ამას მოჰყვება ქრისტეს როგორც ქერის განცდა – რჯლ. 8:8ა.
6. სინამდვილეში, იმისათვის, რომ განვიცადოთ ქრისტე როგორც ხორბლის მარცვალი, შეზღუდული ქრისტე, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის როგორც ქერი, აღმდგარი ქრისტე – იოანე 12:24-25.
7. ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ ჩვენს საჭიროებებს ჩვენით, მაგრამ ჩვენში ქერის პური, წილი უსაზღვრო აღმდგარი ქრისტესი, აკმაყოფილებს ყოველგვარ საჭიროებას და შეუძლია წარმოქნას სიჭარბე – 11:25.
8. აღმდგარი ქრისტე – არის ქერის პური; არაფერს შეუძლია შეუშალოს ხელი მას ან შეზღუდოს ის.
9. თუ ჩვენ გვემახსოვრება, რომ ქრისტე არის ქერი ჩვენში, კრებაზე მისვლისას, ჩვენ შევძლებთ, გამოვიყენოთ ის როგორც ქერი, რათა გამოვკვებოთ სხვები ჩვენი ლოცვით ან ჩვენი მოწმობით.